



საქართველო

რესპუბლიკა

შანი 10 მან. ს. შუაგანი, რუსთაველის 5 1920 წ.

თავისუფლების მოთხოვნა, უფლებდღიური გაზეთი-
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებები)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი უფლებდღ 10 მან.
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან.
სამუდომოდ არის განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., განცხ-
საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო უწყ. განცხადებ-
ანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიჭიერ მეტი 20%, რედა-
ქციის და კანტ. მისამართი: ტო., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-82

რუსთაველის განყოფილება.

სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

სახელმწიფო გასახადი 1919-20 წლისა.

№ რიგში	§§ ხარჯთა- აღრიცხე.	ხ ა რ ჯ ი ს დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა		ნ ა ვ ა რ ა უ დ ე ვ ე ბ ა	
		მ ა ნ ე თ ი	კ ა ბ .	მ ა ნ ე თ ი	კ ა ბ .
გარეშე საქმეთა სამინისტრო.					
94	1	მინისტრის და მისი ამხანაგის შენახვა	190000		
95	2	მთავარ დაწესებულებათა შენახვა	1396300		
96	3	საზღვარ გარეთ სადიპლომატიო და საკონსულო დაწესებუ- ლებათა შენახვა	22677996		
			24264296		
იუსტიციის სამინისტრო.					
97	1	საქართველოს სენატისა და მასთან არსებულ დაწესებულება- თა შენახვა	2795328	33	
98	2	იუსტიციის სამინ. მთავარ დაწესებ. შენახვა	1744601	25	
99	3	სხვა და სხვა საგამგებლო ხარჯი	612049	97	
100	4	ტფილისის სასამართლო პალატა	1844925		
101	5	ოლქის სასამართლოები	8963811	49	
102	6	სამომრიგებლო ყრილობანი	2735685		
103	7	სამომრიგებლო უბნები	17973203	05	
104	8	ბინის საქმეების მომრიგებელ მოსამართ. შენახვა	20550		
105	9	საგანგებო სასამართლოები	2024600		
106	10	უდიდეს საქმეთა გამოძიებლებისა და მათი კანცელარიის შენახვა	114349	95	
107	11	საგანგებო საქმეთა გამოძიებელნი	451434	94	
108	12	უბნის გამოძიებელნი	5870630		
109	13	საბურობილეთა ინსპექციის შენახვა	80000		
110	14	სხვა და სხვა საგამგებლო ხარჯი	11400		
111	15	საბურობილეთა მმართველობის შენახვა	279700		
112	16	საბურობილეთა მხლებლების რაზმი	2447000		
113	17	ტუსალთა შენახვა	5214780		
114	18	საბურობილების შენობათა შენახვა და დაქირავება	540230		
115	19	ტუსალთა გადაყვან-გადმოყ. და მათი ბარგის გადასახიდი	10600		
116	20	შენობათა შენახვა და შეკეთება	205000		
117	21	შემწეობა სხვა და სხვა შემთხვევის გამო	67000		
118	22	სამხედრო სასამართლო	781025		
119	23	სამხედრო სასამართ. საპროკურორო ნაწილი	304850		
			55092753	98	
ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო.					
120	1	მთავარი მმართველობა	183800		
121	2	მინისტრის სამსახურის შენახვა	290667		
122	3	სამინისტროს ცენტრალური დაწესებულებანი	254867700		
123	4	გადასახადთა სამმართველო	2826153		
124	5	სალაროები	6250616		
125	6	დახმარება გადასახადთა სამმართველოსა და სახელმწიფო სა- ლაროებში მსახურთ უბედურთ შემთხვევის გამო	20000		
126	7	საგზაო	12000		
127	8	სახელმწიფო ხაზინების შენობათა შეკეთება	18000		
128	9	სხვა და სხვა საგამგებლო ხარჯი	217000		
129	10	სალაროების მოქმედებით გამოწვეული სხვა და სხვა ხარჯი	37250		
130	11	პენსია და საპენსიო დახმარება	1601299		
131	12	პენსია ემერიტული და სხვ და სხვა საპენსიო თანხებიდან	700000		
132	13	გადასახადთა ინსპექცია	4807526		
133	14	შემოსავლის კვალობაზე გადასახადთა საკრებულოს წევრთა საგზო და იმავე პირთა გასამგებლო	11000		
134	15	საღებო ნიშნების გამყიდველ პირთა და დაწესებულებათა გასამგებლო	4000		
135	16	სახელმწიფო ქალაქების დამზადებელი ექსპლიცია	2999109		
136	17	ლიტოგრაფიის შენახვა	866862		
137	18	პრაქტიკანტების ჯილდო	28800		
138	19	სამკურნალო დახმარება	21420		
139	20	საკანცელარიო, სამეურნეო და საოპერაციო ხარჯი	2569134		
140	21	საკანცელარიო, სამეურნეო და საოპერაციო ხარჯი	4973276		
141	22	საბაჟო სამმართველო	4322067		
142	23	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	1550478		
143	24	ექსპერტიზისათვის	2250		
144	25	საგზაო	151200		
145	26	ნაფთის აგება და შენახვა ჯამაგირი	23000		
146	27	საბაჟო დამღების, ბანდეროლების და ნიშნების დასადებ- დასაკრებელი ხარჯი	20000		
147	28	დახმარება მოსამსახურეებისათვის	10000		
148	29	სამთავრო სამმართველო	1078500		
149	30	სასინჯაო განყოფილება	41700		
150	31	საზომ-სასწორთა შემამოწმებელი დარბაზი	237200		
151	32	„უკანასკნელი განსაკუთრებული“ ჯამაგირის მომატება თა- ნახმად 1919 წ. 20 მაისის დეკრეტისა	1785115		
152	—	„უკანასკნელი განსაკუთრებული“ ჯამაგირის მომატება თან- ახმად 1919 წ. 2 აგვისტოს დეკრეტისა	876920		
			293404042		

ფინანსთა სამინისტროს ხარჯის ჯამი . . . 293404042

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ად. ლომთაიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

სახელმწიფო თეატრი

5 ოქტომბერს 1920 წ.

ფ ა უ ს ტ ი

მონაწილეობენ: სპრიფესკაია, ცინკი, ოვსიანიკოვა, ზალიბსკი, დროზდო-პო-
ლიაფევი, საბინინი, ეზროვი.

6 ოქტომბერს 1920 წ.

პიპის ქალი

419 1-1

7 ოქტომბერს 1920 წ.

სევილიის დალაქი

ოპერის დირექტორი ს. ი. ველახიშვილი.

ქუთაისის

საპატრონო სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების გაგზავნა ახსალვს

რომ ამა წლის 12 სექტემბრის აქციონერთა პირველ საზოგადო კრების დადგე-
ნილებით აქციების ღირებულების მეორე ნაწილის განაღდების უკანასკნელ ვადათ
დანიშნულია

აგა წლის პირველი ნომერი

ეს თანხა უნდა იქნეს შემოტანილი ქ. ქუთაისში საზოგადოების სალონოში ან მის
სახელდასახელო ანგარიშზე ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ნლო-
916 ბის საზოგადოებაში“ . 3-3

მკროვიულ-ქაპასიის საპატრონო ბანკის საგზო

იწვევს ბანკის აქციონერებს საზოგადო საგანგებო კრებაზე, რომელიც დანიშნუ-
ლია ამა წლის ნოემბრის 14-ს დღის 1 საათზე. ტფილისში ბანკის ბინაზე. (რუს-
თაველის პროსპ. № 17)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. გამგეობის მოხსენება, 2. ბანკის ძირითადი თანხის გადაღება, 3. ბანკის
წესდების 64 და 67 პარაგრაფების შეცვლა, 4. მიმდინარე წლის ხარჯთაღრიც-
ხვის გადასინჯვა და 5. მიმდინარე საქმეები.

თუ აღნიშნულ დროს არ გამოცხადდება აქციონერთა საკმაო რიცხვი მაშინ
კრება შესდგება ნოემბრის 28-ს დღის 1 საათზე იმავე შენობაში, რომელიც კა-
ნონიერად ჩაითვლება, რომელიც წევრიც უნდა დაესწროს. (ბანკის წესდების 67
პარაგრაფი). 2982 1-1

განმარტული ბანკი

სახელმწიფო ბანკის მმართველისა.

2 ოქტომბერს 1920 წ. № 1183.

დანიშნა: სახელმწიფო ბანკის საბუკოს და
გამგეობის შეერთებულ სხდომის დადგენილ-
ბის თანახმად იმავე ბანკის ნაწილის გამგე,
დიმიტრი სოლომონის ძე ვაჩნაძე სახელმწი-
ფო ბანკის ბათუმის განყოფილების მმართვე-
ლად ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

განთავისუფლებულია სახელმწიფო ბან-
კის საბუკოს და გამგეობის შეერთებულ სხდო-
მის დადგენილების თანახმად თანამდებობი-
დან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად
თავისი თხოვნისა, სახელმწიფო ბანკის ბა-
თუმის განყოფილების მმართველი ივანე ისა-
კის ძე პურადაშვილი ამა წლის 5 სექტემ-
ბრიდან.

მმართველი ი. ლორთქიფანიძე.

იუსტიციის მინისტრისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ., № 353.

სოხუმის საგანგებო სასამართლოს ლიკვი-
დაციისა გამო განთავისუფლებულ იქნა თა-
ნამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან
ამავე სასამართლოს პროკურორის ამხანაგი
მიხეილ პორფილეს ძე მელიანიძე ი. წ. ოქ-
ტომბრის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არხენიძე.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტო- რისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ., № 356.

დანიშნა იუსტიციის სამინისტროს კანცე-
ლარიის ბუხვალტრის თანამდებობაზე უფროსი
მდივანი სიღნაღის სამომრიგებლო ყრილობი-
სა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე კარახანი
ამა წლის სექტემბრის 28-დან.

დეპარტამენტის დირექტორი გ. უარდანიძე.

არა ოფიციალური განყოფილება.

მისაწოდების თავმჯდომარის ბრძანება.

განვიხილო რა ორი მოხსენება შესახებ პუ-
რის დამზადებისა ტფილისში—ერთი მოხსენე-
ბა ჩემ მიერ დანიშნულ რევიზორის გ. ხუნ-
დაძისა, ხოლო მეორე შრომის სამინისტროს
და პროფესიონალურ კავშირების წარმომად-
გენლებისაგან შემდგარ კომისიისა, დამტკი-
ცებულათ ესთვლი შემდეგს:
ტფილისში პურის რივიანათ დამზადების
და გამოცხობის საქმეს არ ყოფილა არც ერთი
გულშემატკივარი და მზრუნავი მომუშავე.
ყველა, ვისაც კი პურის დამზადებისათან ჰო-
ნდა საქმე, დაწყებული ხორბლის გამოყიდველ
გლეხით და გათავებული მეფურნოთ, სცდი-
ლობდა პურის გაფუჭებას და ამგვარათ სარ-
გებლის მიღებას.

მომარაგების სამინისტროს რწმუნებულთა
მიერ ნაყიდ ხორბალში ნამდვილი პური არის
40-45%, დანარჩენია ქვიშა, ქვა, ბალახი,
ჩალა, მათრახელა, ბრუალა და სხვა უფარ-
გისი მასალა. ასეთი ხორბალი მიღის წისქვი-
ლში, სადაც მეწისქვილე ვალდებულია გაა-
ნიავოს, ვაცხრილოს და მერე დაფუჭოს. ნამ-
დვილათ კი მეწისქვილეთა დიდი უმრავლე-
სობა არა თუ არ სწმუნდს ხორბალს, პირ-
იქით თვითონ უმატებს ყოველნაირ ნაგავს,
რაც კი ხელში მოედება, ოღონდ დაფუჭილ
გამარავლოს და პურის ფუჭილად გაასაღოს.
ხშირად ფურნეში აგზავნიან ისეთ რაღაც
ფხვნილს, რაშიაც პური სრულიად არ მოიძე-
ვნება. ბოლოს მეფურნე აცხობს ისეთი ფო-
რმის და ზომის პურს, რომ მათი რივიანად
გამოცხობა შეუძლებელია და ამით პურს
ამძიმებს.

მივიღე რა მხედველობაში ეს შემადრწუნე-

ბელი დაუდევრობა და ბოროტ-მოქმედება დადგინებენ:

1) გადაყენებულ იქნან და სამართალში მიეცეს მომარაგების სამინისტროს რწმუნებულნი, რომელნიც ყიდულობდნენ უფარვის ხორბალს, ხოლო ასეთი ხორბლის გამყიდველნი დასჯილ იქნან ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებით, რისთვისაც მომარაგების სამინისტრომ ვასცეს სავალდებულო დადგენილება.

2) გამოეცხადოს საყვედური ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომლის ხელშია პურის დაფუძვის და გამოცხობის საქმე, ასეთი უმაგალითო დაუდევრობისათვის.

3) დათხოვნილ იქნას სამსახურიდან სასურსათო განყოფილების გამგე რუხაძე, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო პურის საქმისათვის ყურის გდება.

4) დათხოვნილ იქნას სამსახურიდან შრომის სამინისტროს და ქალაქის მიერ დანიშნული კონტროლიორები, რომელნიც ხედავდნენ ყოველივე სისაძაგლეს და ხმას არ იღებდნენ.

5) დაპატიმრებულ იქნან სამ-სამი თვით ციხეში მქსიჭვილები იაკობოვი, დადარიანი, ალიხანოვი და მისი მუშა ხაჩატურ ეგოიანი, ქალაქის კონტროლიორი სანოვიჩი, სტენნიკო განყოფილების გამგე ბერიოვი, ხოლო დანარჩენი წევრები ამ განყოფილებისა დათხოვნილ იქნან სამსახურიდან. დათხოვნილ იქნას სამსახურიდან და სამი თვით დაპატიმრებული კახეთის რკინის გზის აგენტი კვპულაძე, რომელიც მექსიჭვილე ალიხანოვთან ერთად იღებდა მონაწილეობას პურის გაფუძველებაში.

პურის საქმის გამოსაკეთებლად და ბოროტ-მოქმედების თავიდან ასაცილებლად საქირად მიმართა მღებულ იქნას ვისვანაც ჯერ არს შემდეგი ზომები:

1) ხორბლის გაწმენდა ხდებოდეს ერთ ადგილზე, საიდანაც გაწმენილი ეძლეოდეს წისქვილებს.

2) იმ წისქვილთა საწყობებში, სადაც იჭებება მომარაგების სამინისტროს ხორბალი კერძო პირთა ხორბლის შენახვა აიკრძალოს. საწყობი იჭებოდეს ორი ბოქლომით. ერთი ვასალეზი ეზაროს წისქვილის პატრონს ან მის რწმუნებულს, მეორე — სასურსათო განყოფილების აგენტს, რომელიც თვალყურს ადევნებდა ხორბლის მიღებას, დაფუძვის და ჩაბარებას.

3) ხორბლის ვაცემა და ფუჭილის მიღება წისქვილიდან საწყობში ხდებოდეს აგენტის თანდასწრებით.

4) ყველა წისქვილში აგენტმა აწარმოოს შემოსავალ-გასავლის წიგნი, რომელშიაც აღინიშნოს როდენობა ხორბლისა, ფუჭილისა, ქატოსი და სხვა.

5) აგენტების მორიგეობა ხდებოდეს 3 ჯერად განუწყვეტლივ დღე და ღამეში.

6) მორიგე აგენტს დაევალოს აგრეთვე საფუძვლის სისუფთავეზე თვალყურის დევნა და მორიგეობის დროს წისქვილში და საწყობში განუწყვეტლივ ყოფნა.

7) ქატო არ ინახებოდეს წისქვილის საწყობებში ერთ კვირაზე მეტი, გარდა იმ ქატოსი, რომელიც მეორედ უნდა დაიფუძვას.

8) აგენტები, რომლებიც სამ ჯერად მორიგეობენ არ უნდა მორიგეობდნენ ერთსა და იმავე წისქვილში ერთ კვირაზე მეტი. ამ ვადის შემდეგ ისინი გადადიან სამომრიგოდ მეორე წისქვილში.

ჩემ მიერ დანიშნულ რევიზორს ვ. ხუნდაძეს ვავალდებ განაგრძოს თვალყურის გდება პურის დამზადებაზე.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი. მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე.

გაციას და მიაცილა სადგურამდე, საიდანაც საერთო ოჯახებში და მუსიკის ინტერნაციონალის ხმებში, მატარებელი დიდი ჯგუფითსაცენ.

ლანჩუიდან ნაგანებად.

რომილიმე წუთის შემდეგ მატარებელი ჯგუფითი იყო, სადაც ადგილობრივი ხალხი დროებით შეეგება დღევანდელ და მისასაღებელი სიტყვა უთხრა ამ. ჯიჯეიშვილმა. დღევანდელის სახელით ხალხს მიესალმა მარკე, რის შემდეგ რევოლუციონერ სიმღერებით ხალხი აცილებს მატარებელს. საერთო დღესასწაულისთვის სუფსაც მომზადებულიყო სადგურზე ხალხი და მოსწავლე ახალგაზრდობა ირევა. იქვე სადგურთან მოუწყვათ ტრიბუნა, რომელიც მორთულია ხალიჩებით და ყვავილებით. ხალხის სახელით სტუმრებს ესალმება სიმ. საღარაძე, ხოლო მოსწავლეთა სახელით გამოდის პატარა მოსწავლე ილია კაშია და ამბობს: მოგესალმებით ჩვენი განახლებული სკოლის მოწაფეების სახელით. ჩვენ პატარა მოქალაქენი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის, ვეცდებით გავხადოთ შეგნებელი მუშები და თქვენ იღვალდებ ვემსახურებით პირნათლად. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. გაუმარჯოს ჩვენი ძვირფასი სტუმრებს. მოსწავლის სიტყვებმა სტუმრები აღტაცებაში მოაყვანა. დღევანდელის სახელით აქ სიტყვას ამბობს სნოუდენი, რომელიც იმედს გამოსთქამს, რომ საქართ. რევ. ხალხი მომავალ თაობას აღზრდის ხალხის ნამდვილ მოსარჩლეთ და მით სოციალ. იდეალებს მისცემს საუკეთესო მებრძოლებს უწყვეტი მებრძობისა.

ნაგანებიდან ოზურგეთამდე.

ხალხი სტუმრებს ოჯახებში უმართავს და მატარებელს „გაზას“ ხმებში მიდის ნატანებშიცენ. ნახევარი საათის შემდეგ ნატანებში ვიყავით. სადგური მორთულია ყვავილებით. ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე აღუშრატავთ არც წარწერით: „სალამი ძვირფას სტუმრებს“. აგრეთვე იღებენ, ვტლები, ცხენონებები უტდიან მათ, რომ წაიყვანონ ოზურგეთში, სადაც დღეს მთელი ბაზრიდან ჩამოსულა ხალხი ეგებება დღევანდელისა. დღევანდელის წევრები ავტომობილებში ჩასდნენ და გაეშურნენ ოზურგეთისკენ. მხიანი დღევანატანების მიღამოები, რომელსაც დაყურებენ აქარა-გურის მთები, განსაკუთრებული სილამაზით მოკულია. სად. მერიამი დღევანაციას აჩერებს დროებით მოსული ხალხი სადაც სოც. დემოკრ. ორგანიზაციის სახელით სიტყვას ამბობს ბენია თოიძე. სოფ. გურინათთან სოფლებს გაუმართავთ ყვავილებით მორთული არცა წარწერით: „გაუმარჯოს სტუმრებს“. აგრ დღევანაციას ხვდება ცხენონათა ჯგუფი მედროშით, რომელიც აწინ მიუძღვებიან ავტომობილებს. ოზურგეთის ახლოსაც გზაში, დღევანაციას ხვდება ს. კახურიდან დიდხალი ხალხი დროებით და ს. დ. ორგანიზაციის სახელით სტუმრებს ესალმება ალ. კლეზელეძე. ავტომობილებს, ვტლებს უკან მოყვება დროებით სოფლის ხალხი, გზაში, რომ სალამით და ყვავილებით ხვდება სტუმრებს. ახლო-მახლო სოფლების ხალხი ვაბამულია გზაში, მიეჩქარიან ოზურგეთისაკენ, სტო მიუსწრონ მიტინგს და მოისმინონ იშვიათი სტუმრები.

ოზურგეთში.

დღევანაც ოზურგეთში 12 ს. 25 წუთზე მივიდა. მათ თან ახლდათ შინ. საქმ. მინისტრი ნ. რამიშვილი, დამე. კრების დაჯგულომარის ამხ. ალ. ლომთათიძე, დამე. კრების ზოგიერთი წევრები და სხვ. ოზურგეთი სადღესასწაული იყო მორთული. გვარდის შტაბი, ქალთა გიმნაზია, ქალაქის თვითმართელობა, ერობა და პროფ. კავშირთა საბჭო მოწყობილია გივლიანდებით და ხალიჩებით. ქუჩები სავსეა ხალხით. თვითმართელობის წინ და ქალაქის ბაღი ვაჭირთა, ტყე წითელი დროშებისა თავს დატრიალებს სოფლებიდან მოსულ ხალხს და რევოლუციონერი სიმღერების ყრენა გუგუნით გაისმის ირგვლივ. ქალაქის გამგეობის წინ სტუმრებს ესალმება ქალაქის თავი ამხ. გიორგი მურშანიძე, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „გურია, რევოლუციონერი გურია, მრავალჯერ იყო აწიოკებული და აობრებული, იმისთვის, რომ ის იყო ბუნდ მეფის ტახტის მოწინააღმდეგეთა, აქ პირველი აფრიალდა წითელი დროშა და ხალხმა პირველად სთქვა თავისუფლების სიტყვა“.

ქალაქის თვითმართელობიდან დღევანაც მიდის გურიის პროფ. კავშირის საბჭოში, სადაც კავშირების სახელით სტუმრებს ესალმება გ. კოპალაძე, რომელიც ამბობს: „ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასი იმდენად

ერთსულოვანია, რომ მათ იდეური სხვა და სხვაობა ხელს არ უშლის ერთ თლიან კავშირში გაერთიანებას. და ამ ერთსულოვნებაში, ამ გაერთიანებაში ისინი საქართველოს დემოკრატიის წითელი და შავი იმპერიული მის გამარჯვებისაგან, თუ დღემდის შეესტეული რევოლუციით მონაპოვარის შენარჩუნება, ამერიიდან მით უფრო ძლიერი ვიქნებით, ვინაიდან ჩვენთან არის და იქნება ევროპის მუშათა კლასი, რომლისგანაც ვისწავლეთ ბრძოლა სოციალიზმის მოსაპოვებლათ“.

დღევანაცა დღით ნასიამოვნები დარჩა, როცა დინახა, რომ ერთ შენობაში, ერთ ქერს ქვეშ, ერთიანეთთან ახლოს, მოთავსებულან სხვა და სხვა პარტიების ჯგუფი და მათ შორის სხვა და სხვაობა ხელს არ უშლის ემსახუროს საერთო საქმეს.

აქედან დღევანაცა გაემართა ერობისკენ, სადაც ნ. კანტუროშვილი მიესალმა სტუმრებს და სხვათა შორის სთქვა: „მთელი ძალდონე, მთელი ენერჯია ჩვენი ხალხისა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვისაკენა მიმართული, რასაც უმთავრესად ორი ძალა ემუქრება ოსმალეთის და რუსეთის გაერთიანებულ რეაქცია და შედეგი ამ უსწორო ბრძოლის დამოუკიდებელია იმისაგან, თუ საითკენ გადაიხრება დანარჩენ სახელმწიფოთა მსჯავრის სასწრაო. ჩვენი ხალხის მთელი იმედი, გარდა საკუთარ ძალისა, დამყარებულია ევროპის ხალხის იმ ნაწილზე, რომლის საერთაშორისო პოლიტიკის ხაზი ეროვნულ საქითხში არ განისაზღვრება სხვა და სხვა მომენტებით, მისი ერთი სწორი და სამართლიანი გზით — გზით ერის თვითგამორკვევის უფლების დაცვისა“.

ერობის დათვალეიერების შემდეგ დღევანაცა გაემართა საგანგებო გამართულ ტრიბუნისკენ, რომელზედაც მოწყობილი იყო ბზის ტოტებისაგან იშვიათი ხელოვნური არქა. ბლის წინ მოედანი გაჭედლილი ზოვა ხალხით. მთელ გურიას დღეს აქ მოუყრია თავი. ყველა დილორბს ტრიბუნის ახლოს დადგეს, რომ მიუსმინოს ორატორებს. მიტინგს ხსნის ამხ. გ. შილაძე რომელიც გურიის ს. დ. ორგანიზაციის, ს. ფედ., რევ. ახალგამარქსისტთა და გურიის მუშათა პროფესიონალურ კავშირთა სახელით ამბობს მისასაღებელ სიტყვას. ის ხაზს უსვამს საქართველოს მშრომელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისთვის და ამბობს: „არის ერთი რამ, რაც თითოეული ჩვენგანისთვის ზრცყველი და გარდაუდებელი, რაც საქართველოს დემოკრატიისათვის ერთად მთელ კავშირობას ვგსურს ხმა მალდა ვასმინოთ — ეს არის საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა, ეს მთელი ქართული დემოკრატიის, მთელი ქართველი ერის შეურყვეველი ნებისყოფა, განურჩევლათ მდგომარეობისა და რწმენისა და ამის მოსპობა და გაქრობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიწა-წყალი მთელი ქართველი ერის გვაემებით მოიფინება“.

ევროპის სოციალისტური დემოკრატია

საქართველოში

გურიიში

ლანჩუთში.

სამტრედითიდან ხვანგებო მატარებელი დღეა აღრიან ვაგიდა. ცა მოწყენილია. მხიანი დღე ხელს შეუწყობს გურიის საერთო დღესასწაულს, მის განუხაზვრელ აღფრთოვანებას, მის ტრადიციულ რევოლუციონერ გატაცებას. ხვალ გურიაში ვიქნებით, ამბობდა წინა დღით მიუსმინისი — ხვალ ვნახათ გურიის გლუხაკობას, რომლის მოძრაობაზე ევროპაშიც ვვსენია“. და ამ მოლოდინში, გურიის ნახვის სურვილში, ყველანი გრძობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობაში გურია შეიტანს ახალ ფურცელს. ორი კვირის წინეთ პირველი შეხვედრისას ბათუმში დაბადებულ აღტაცებას, გურია კიდევ უფრო გაზრდის, ის დაავიწყდინებს თავისი ძველ გამოცდილ რევოლუციონერ ბრძოლაში გამოქედილ ხმით მიუღი ერის საერთო გამოძახილს.

რვის ნახევარი იყო, რომ მატარებელი ლანჩუთში გაჩერდა. სადგური სავსეა ხალხით. ყველაფერი მორთულია ყვავილებით და გივლიანდებით. სადგურის მაქანზე სდგას ახალგაზრდების ხორა ჩავლეშვილის მეთაურობით და ასრულებს ინტერნაციონალს. სტუმრები მიდიან ზოვა ხალხში ბავშვების მიერ შემოკრულ წრით და თაიფულთა და ყვავილების კონები ფარავენ გზას, ცოცხალ ყვავილებით მოქარგულ ხალიჩებზე მიბიჯებენ სტუმრები და მათ თან მიყვება ხალხის საერთო აღფრთოვანება და დაუსრულებელი „გაზა“. მიტინგი დანიშნულია ქალაქის მოეაზნე, სადაც მორთულია ესტრადი და ირგვლივ კი სავსეა მიდამო ხალხით. მიტინგს ხსნის ქალაქის თავი ამხ. ვ. შარაშენიძე და მოკლე მისასაღებელ სიტყვით ეგებება სტუმრებს. საპასუხო სიტყვას იღებს შაუხშია ხი, რომელიც სხვათა შორის ამბობს: ჩვენ ვაფაციცებით ვსწავლობთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის მეთოდებს, რომ ის ჩვენშიც გამოვიყენოთ და ასე მთელი ძალა უფლება გვქონს ჩავიგდოთ. ბევრს შეაძლებს გოწმია, რომ ჩვენში, ევროპაში ვაჭივრება არ იყავს. ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენში ცხოვრების სიძვირე ნაკლები იყვის, ვიდრე თქვენში. თქვენ იცით, რომ ომის დროს ბელგიის ხალხი მხოლოდ საზოგადო დახმარებით ცხოვრობდა. 4 წ. განმაღობაში ანადგურებდნენ ჩვენს ქვეყანას, იმპერიალისტური ქუსლები სთილაოდა ხალხის ქონებას, მარა როცა დამყარდა ზავის პირობები და ბელგიის ხალხი დაუბრუნდა თავის ქარს, ჩვენ მრავლობით

მთავრობისაგან, რომ ბელგიის ხალხს მონაწილეობა მიეღო თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში, ჩვენ მოვითხოვთ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, 8 საათის სამუშაო დღე, შრომის დაზღვევა ავადმყოფობის და უმუშევრობის დროს. ჩვენ მოვითხოვთ სწავლა-აღზრდის მონაწილეობის მოსპობა მდიდართა კლასებისათვის და რადგანაც ყველაფერი ეს დიდ ხარჯებს ითხოვდა, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ხარჯები დაეფარა ჩვენს ბურჟუაზიას. და ეს შესრულა ბელგიის მუშათა კლასმა, მარა ამავ დროს ეს მუშათა კლასი მთელი თავისი ენერჯიით და ძალდონით აწარმოებდა მუშაობას დანგრეულ ქვეყნის აღსადგენათ და მის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად. ეს შესძლო შრომაში, დაუზოგველმა შრომამ, რომელსაც მთელი ხალხი აწარმოებდა. ომის მიერ დატოვებულ საერთო უბედურებას, ვაჭივრებას, სიღარიბეს და განადგურებას მოსპობს მხოლოდ შრომა, მხოლოდ მუშათა კლასის მარჯვენი შესძლებს ამ უბედურების თავიდან აცილნას. და როცა ვუტყვით ჩვენ თქვენ ბრძოლას პოლიტიკურ სფეროში, როცა ვითვალისწინებთ იმ დიდ გასაჭირს, რომელიც თქვენ გამოვიგლიათ და თავიდან აღგუენიანი დაღუვვა, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს თქვენი რევოლუციონერი ენერჯია და ორგანიზაციული ნიჭი გამოყენებული იქნება ეკონომიურათ დაქვეითებულ და ომის მიერ დანგრეულ ქვეყნის აღსადგენათ და ასაღობიანებლათ. და თუ თქვენგან უნდა ვისწავლოთ ჩვენ პოლიტიკურ უფლებების მოპოება, სამაგიეროდ ჩვენგან გქარნდება თქვენ ეკონომიურ ცხოვრების აღდგენის სწავლა და ამ ფორმულზე დიდი ძალდონთ იერიშის მიტანა, რომ თავისუფალ საქართველოს ნავი სამშვიდობის გაიყვანოთ“. პიუსმანის სიტყვას ფარავს ნანგრძლივი ტაში. მის შემდეგ ლაპარაკობს სნოუდენი, რომელიც ინგლისის მუშათა სახელით სიტყვას აძლევს ხალხს დაიცვას ევროპაში თავისუფალ საქართველოს იდეალები მისი პოლიტიკურა თავისუფლებს. მიტინგის შემდეგ სტუმრებს აპატყენს ნ. ნ. ჟორდანის დედამ ოჯახში და საუბრებს უმართავს. სტუმრებმა აქ დაათვალიერეს ანდრეიკას მთლიანი, რის შემდეგ ვაგმარტენენ სადგურისაკენ. მიტინგი ჯერ კიდევ არ დაშლილაყო და უცდიდა სტუმრების უკან დაბრუნებას. ამისობაში ესტრადაზე მოეწყობა ძველი ქართული ცეკვა ხორუმი, რასაც იღებდა ცეკვშირის კინემატოგრაფი. პიუსმანის მეტად დაინტერესა ამ უბრალო ხალხურმა, მარა ხელოვნურმა თამაშმა. ზოვა ხალხი დროებით და სიმღერებით გამოყვა დღე-

კობს ხნოვდნი, რომელიც ინგლისელ მუშე-
ბის სახელით ესალმება ხალხს და პირობას
აძლევს, რომ ევროპაში დაბრუნებისას დელე-
გაცია ყოველ ღონეს იხმარს საქართველოს
დამოუკიდებლობის საცნობათ და ეკონომიურ
ჟურთიერთობის გასამტკიცებლად.

საერთო ოვაციებში დელეგაციას მადლობას
უხდის მითინგის თავმჯდომარე და ინტერნა-
ციონალის ხმები აცილებენ სტუმრებს ადგი-
ლობრივ საკრებულო დარბაზში, სადაც
ქალაქის გამგეობამ და ერობამ დელეგაცია
სადილათ მიიპატივეს.

დელეგაციის 4 საათზე დელეგაცია ნ. რა-
მიშვილის, ალ. ლომთაძის, ბენია ჩხიკვი-
შვილის და ვ. ჯუღელის თანხლებით გაემ-
გზავრა ს. შემოქმედში ისტორიულ ტაძრის
დასათავალეობლად. მითინგის დაბრუნე-
ბული ხალხით ჯერ კიდევ სასერ იყო სოფლე-
ბის ქუჩები, სადაც ტრამის კვრით ხვდებოდნენ
სტუმრებს. დღე და ღამე იყრებოდა, რომ
დელეგაციამ დათვალეობა შემოქმედის თა-
მარის დროინდელი ტაძარი, მისი იშვიათი
მღებარეობა ხიბლავს სტუმრებს. აღმოსავლე-
თით აჭარის მთების შტო ვაკის ჯვრის ქუდათ,
რომ ეფინება, ჩრდილოეთით ნიგოთის მთე-
ბი, სამხრეთით აჭარის ქედი, ხოლო დასავ-
ლეთით შავი ზღვა და ამ რკალში კი გურიის
აქვანებულ მიდამოები, მის ჩასვლისას გა-
ნსაკუთრებულ სილამაზით იდგა. უკან დაბ-
რუნებისას სოფლებით სავსე გზები და ჩი-
რადლებით ხვდებოდა სტუმრებს. ბავშვებს
მთაქვს ხილი და ვაისმის მზიარული კრია-
მული.

გურია მთელი თავისი სტუმართმოყვარეო-
ბით, გაშლილი გულთა და აღტაცებით შეხ-
ველა სტუმრებს, მან იდგასსწავლა 27 სექ-
ტემბრი, დღე ევროპის სოციალისტების გუ-
რიაში და 20 წლის განმავლობაში ოცნებაში
შენახული მებრძოლთა სურათები სინამდვი-
ლში იხილა. ძველ ქურა, გურიის ზღვის
რევიოლიუციონერი ძალის ნაპერწყლებით გა-
ჩაღებულა, რომელმაც პირველათ ბათუმის
ქარხნიდან დაიწყო მოძრაობა, დღეს გა-
დაიწალა მთელი თავისი წარსულის გამოც-
დილებით და ბრძოლაში გამოწრთობილ იმე-
დით. ამ 20 წლის წინეთ ბათუმის ქარხნებში
დაბადებული ლოზუნგი „პროლეტარებო, მთე-
ლი ქვეყნისა შეერთდით“ თავს დაფრთხილდა
დღეს გურიას და მასთან ერთად მთელ საქა-
რთველს, დაწყებული გიჟი თერგის ყინვიან
მთებიდან და გათავებული გურიის ნახ და
სათუთ მთების თხემებამდე.

შინაგ. საქმ. სამინისტროში.

პენსიის დანიშვნის შესახებ.

(ვიკტორიანი)
შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქთა
და ერობათა თვითმართველობათ დაუგზავნა
შემდეგი შინაარსის ცირკულარი: როგორც
კერძო პირთაგან ისე ერობათა და ქალაქთა
თვითმართველობისაგან ხშირად შემოდის სა-
მინისტროში თხოვნები და მომართვები შუა-
მდგომლობით პენსიის დანიშვნის, ან ერთ-
დროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ. ვი-
ნაიდან შრომის სამინისტროსთან სოციალურ
დახმარების დაარსების შემდეგ ასეთი თხოვნე-
ბების გზარევა სამინისტროს კომპეტენტის
აღარ შეადგენს, კანცელარია ვაცნობებთ სა-
ხელმძღვანელოდ და საყოველთაოდ გამოსაც-
ხადებლად, რომ შემოაღნიშნული თხოვნები
თანხმად არსებულ კანონისა, უნდა შეტე-
ნილ იქნეს ქალაქის ან სამხარეო ერობის გამ-
გეობაში, რომელიც ამგვარ თხოვნებს არ-
ჩევს.

უჩაღებთან ბრძოლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავკალიდან
დღეებით ატყობინებენ: ოქტომბრის 2 უჩა-
ღებთან სროლის დროს მოგვალეთ ერთი უჩა-
ჩალო და დანარჩენებს ვსდევთ. თონეთი-
დანაც იუწყება ერობის გამგეობის თავჯდო-
მარის ამხანაგი, რომ თონეთის სამხარეო მი-
ლიციამ არაგვის ხეობაში დააპატიმრა უჩაღ-
თა ბანდა კოშინაშვილის მეთაურობით, რომ-
ელიც ამას წინაღ დღეშეთის ციხიდან გაიქ-
ცაო.

შუამდგომლობა.

ბორჩალოს მხარის ერობამ სთხოვა შინა-
გან საქმეთა სამინისტროს სესხი კულტურულ
მცენარეულობის მოსაშენებლად თესლელო-
ბის შექმნის საჭიროებისათვის. ვინაიდან სა-
ხელმწიფო კონტროლი და სამინისტროები
ამ შუამდგომლობას თანაგრძობით შეხვდენ,
ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერო-
ბის შუამდგომლობა მთავრობას წარუდგინა
ვანსახილველად.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

შემოსავლის კვლობის გადასახადი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრს ე-
კონომიკის მიენდო შეადგინოს საგანგებო
კომისია მის მიერ შემოსავლის კვლობაზე
და სამრეწველო გადასახადის სისტემის შე-
ცვლის შესახებ დამუშავებულ დეკრეტის პრო-
ექტის განსახილველად.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

კანონ-პროექტი უმაღლეს ეკონომიურ საბ-
ჭოს დაარსების შესახებ უკვე დამუშავებულ-
ია. ამ დღეებში ეს კანონ-პროექტი ვანსა-
ხილველად მთავრობას გადაეცემა.

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ორგანიზა-
ციის პროექტის დამუშავება დამ. კრების
დადგენილების თანახმად მინდობილი ჰქონ-
და შინაგან საქმეთა და ვაჭრობა-მრეწველობის სა-
მინისტროს, და არა შრომის სამინისტროს,
როგორც ეს ჩვენი გაზეთის № 221-ში გვექონ-
და გამოცხადებული.

საბაჟო გადასახადების გადახინჯვა.

თანხმად შინაგან საქმის სამინისტროს საბჭოს
დადგენილებისა, საბაჟოს სამმართველოს გამ-
გეს მიქაძეს მიენდო გადასახადის საბაჟო გა-
დასახადები შემოსატან და გასატან საქა-
რულზე. ამ საკითხის დამუშავებაში ვაჭრობა-
მრეწველობის წარმომადგენლებმაც უნდა მი-
იღონ მონაწილეობა.

უცხოეთი

კომუნისტური პარტია ინგლისში.

ინგლის მუშათა პარტიაში არ მიიღო თა-
ვის შემადგენლობაში ინგლ. კომუნისტ. პარ-
ტია, რომელშიც ასამდე წევრი ითვლება. ეს
წრე დიდი ხანი არ არის რაც ლონდონში
დაარსდა.

მოლაპარაკება პეტლიურას მთავრობ- ბასთან.

„ტანი“ სწერს: უკრაინის დელეგაცია ოფი-
ციალურად იუწყება, რომ საბჭოთა მთავრო-
ბამ უკრაინაში პეტლიურას მთავრობასთან
სახაზო მოლაპარაკება დაიწყო.

კრატირი.

სპეციოდან იუწყებიან: პიზანელს მწვერ-
ვალზე, კაპუანოს მთებში გაიხსნა კრატირი.
მიწიდან ძლიერი გუგუნი ისმის, კრატირი-
დან ამოდის ცეცხლი, კაპელი და ვოგირდის
სუნი.

ბოლშევიკების სუბიდიო.

„ტანი“ ბეკდაეს ლონდონის კორესპონდენ-
ტის დეპეშას, რომელიც იუწყება: „დილ-
გერალდმა“ მიმართა თავის მკითხველებს შე-
კითხვით უნდა მიიღოს თუ არა გაზეთმა
ბოლშევიკების სუბიდიო—75000 გირ. სტერ-
ლინგის სახით. ინგლისის საზოგადოება აღ-
ნიშნავს, რომ კამენევმა და კრასინმა „დეილი-
გერალდის“ დახმარებით ინგლისის ბაზარზე
რუსეთიდან მოტანილი ძვირფასი ლითონით
მრავალი პირობა დასდევსო.

რუსეთ-პოლონეთის ხაკითხი.

„ტანი“ გადმოგვცემს: ჯოლიტიისა და მი-
ლერანის თათბირზე გამოიმუშავეს დეკლარა-
ცია რუსეთ-პოლონეთის საკითხის შესახებ.
დეკლარაცია წინადადებას აძლევს პოლო-
ნეთს პატრივი სცეს მეზობელ სახელმწიფოე-
ბის დამოუკიდებლობის და რაც უნდა მოხდეს
რუსეთთან ომი დასრულოს და აგრეთვე ლი-
ტვისთან დასდოს ხელშეკრულება საბჭოთა
მიერ ჩაურევლათ.

ომის დაწყების დამნაშავენი.

ომის დაწყებაში დამნაშავეთა ქვამორკვეე-
მა ოსმალეთის კომისიამ მუშაობა დაიწყო.
მის გამგებლობაში შედის, როგორც ევრო-
პის აგრეთვე ბალკანეთის ომის გამოწვევის
და დამნაშავეთა გამოკვლევა.

საპარეო მიმხვდება.

მოვიდა საფრანგეთის სავაჭრო ფირმების
წარმომადგენელი, პარიზ-ბულაპეტ-სტამბო-
ლის შუა საპარეო კომისიის მოსაწყობათ.

მდგომარეობა იტალიაში.

პრესის ცნობით იტალიის პოლიტიკური
მდგომარეობა უმჯობესდება. მთავრობამ გა-
დასწყვიტა მეშენისა და მრეწველობის დამო-
კიდებულებაში ჩარევა. წითელი დროშები
თითქმის ყველა ქარხნიდან გაქრა. სოც. აღ-
მასრ. კომიტეტი ტურინში აფრთხილებს თა-
ვის წევრებს ანარქიულ გამოსვლას ნუ მოა-
დენთო. პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ამ

კრიზისის დასრულებას. კორუზა და ლასე-
რას ახრით იტალიის მუშებმა დიდი ვინი-
რება და სიფრთხილე გამოიჩინეს. „ქურნ.
დ-იტალია“-ს ცნობით კრიზისის დასრულება
მთავრობის ჩარევამ გამოიწვია.

ახალი ავბაზი

ჩვენი ბელეტრიტი. საკუთარ წიგ-
ნის მალაზიაში (რუსთაველის პროზა. № 9,
სასტუმრო „ორიანტის“ კვეშ) იყილება წე-
რა-კითხვის საზოგადოების შემდეგი ბელე-
ტრისტული გამოცემანი: 1) ე. ნინოვილი
I ტომი; 2) მისივე II ტომი; 3) გ. ბარნოვის
I ტომი; 4) დ. კლდიაშვილის I ტომი; 5)
მისივე II ტომი; 6) ან. ერისთავ-ხოშტარისაი
„მოლაპლ გზაზე“; 7) გ. წერეთლის „პირ-
ველი ნაბიჯი“; 8) მისივე „კიკოლიკი, ჩიკო-
ლიკი და კუდაბიკა“; 9) მისივე „მამიდა ას-
მათი“; 10) მისივე „რუხი მგელი“; 11) ლა-
ლიონის მოთხრობები; 12) ზოგიკეს „ახალი
ტალღები“; 13) ი. ჭავჭავაძის „კაცია ადა-
მიანი“; 14) მისივე „გაბის ნაამბობი“; 15)
მისივე „მგზავის წერილები“; 16) მისივე
„ოთარანთ ქვირი“; 17) ლ. არდაზიანის
„სოლომონ მეკლანაშვილი“; 18) „ვენელო“
მელანიას; 19) შ. არაგვისპირელი I ნაწ.;
20) მისივე II ნაწ.; 21) მისივე III ნაწ.; 22)
მისივე IV ნაწ.

შეზის დამაღება. მუშათა მაგიდა შე-
შის დასამაღებლად თავის წარმომადგენ-
ლებს სილნაში და ბორჯომში გზავნის.
ამასთანავე მუშათა მაგიდამ მიმართა თხოვ-
ნით სენაკის სამხარეო ერობას აცნობოს, თუ
რა ფაქტში შეეძლია მას დამაზადოს შეზა. მუ-
შათა მაგიდა სენაკის ერობას ფულით დახ-
მარებას პირდება.

სახელმწიფო ბანკი.

ვალუტის კურსი.

სახელმწიფო ბანკის ვამეგობა აცხადებს: ვალუტის მომწესრიგებელ კომიტეტმა დაადგინა:
ვალუტაზე განსაზღვრული კურსი არ იქნება დაწესებული. კერძო საკრედიტო დაწესებუ-
ლებებს, რომელთაც მიეცათ ნება ვალუტის ოპერაციების წარმოებისა, შეუძლიათ აწარ-
მოონ ეს ოპერაციები, როგორც თავის ანგარიშზე, ისე საკომისიო მინდობილობათა ანგა-
რისზე. სახელმწიფო ბანკი ვალუტის ოპერაციებს მხოლოდ საკომისიო მინდობილობათ
აწარმოებს.

სახელმწიფო ბანკის ბალანსი.

აქციები (ათასობით)	მანეთი	პასივი (ათასობით)	მანეთი
კასა	487695	ძირითადი თანხა	150000
სახელდახელო ანგარიში ბანკისა ხაზინაში	27495	სპეციალი თანხა	50000
ოქრო, ვერცხლი, უცხოეთის ვა- ლიუტა, ჩეკები და ტრატები	23747	ანაბარი ვალიანი, უვადო და სა- ხელდახელო ანგარიშები	548512
განაღდება თამაშულების, სავაჭრო ვალდებულებათა და ვალიან ქა- ლადებისა	57647	გადაუხდელი გადმოგზავნილი ფუ- ლი და გარდამავალ თანხები	1858
სპეციალი სახელდ. ანგარ. უზრ.- ყოფილი თამაშულებით და სავაჭ- რო ვალდებულ	8449	სარგებელი მიღებული ოპერაციე- ბისაგან	4623
სესხი და სპეციალ. სახელდახელო ანგარ. საქონლით და საქონლის მიერის საბუთებით	72079	საპენსიო თანხა	19
ანგარიში მთავრობასთან და ხა- ზინათთან	73937	ბალანსი	755012
ანგარიში უძრავის ქონებისა და მოწყობა-მომართვისა	246	საკომისიო თამაშულები და საბუ- თები	652
დასაბრუნებელი თანხები, თამაშ- ულების ქალაღი და ღერბის მარ- კები	1358	სააქტივო ოპერაციების უზრუნვ- ყოფ. საბუთები	8421
მიმდინარე ხარჯები	2359	ანაბარი შესანახად	115186
ბალანსი	755021	გარდამავალი საფასენი	23987

რკინის გზაზე

ჯილდო სიმამაციისათვის.

ა. წ. 2/VIII 6 №-ს მატარებელზედ ბო-
როტომქმედთა თავდასხმის დროს სიმამაციის
გამოჩენისათვის და ბროტომქმედის შეზ-
ყრობისათვის დაჯილდოებული იქნენ მა-
ტარებლის მფლობელი-დარაჯენი.
შოთაშვილი ვეჟორგი დავითის ძე—3.500 მ.,
მეფარაინი მოსე სოლომონის ძე—2.500 მ.,
ლალაშვილი ვასილ სოლომონის ძე—2.000 მ.,
მეგრელიშვილი ალექს. დიონისის ძე—1.250 მ.
და კაქაურიძე ვივორგი ალბინოვის ძე—1.250 მ.

დაბრუნებულ კრებაში. დამუდუნებულ
კრების პრეზიდიუმმა საქართველოს რესპუბ-
ლიკის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა
მესამე ყრილობისაგან ყრილობის თავჯდო-
მარე გაჩეჩილადის ხელმოწერილი მისალმებო-
თი დეპეშა მიიღო.

რეზრეგეთის ერობა დეთანხმა იუსტი-
ციის სამინისტროს, რომ საოლქო სასამართ-
ლოს ბათუმის განყოფილება ოზურგეთის
რაიონის განყოფილებაში შედიოდეს. სათა-
ნადო კანონ-პროექტს იმუშავებს იუსტიციის
სამინისტრო.

დებრაჟკრა „ჩემოში“. ევროპის სო-
ციალისტურ დელეგატის წევრმა დებრაჟ-
კერმა სექტემბრის 30 „ჩემოში“ საზოგადოების
გამგეობა ინახულა.

დელეგაცია უცხოეთში. „ჩემოში“ სა-
ზოგადოება უცხოეთში გზავნის „ჩემოში“ საბ-
ჭოს წევრს როდოვიჩს რ. ჯგაჯანიშვილის მა-
გიერ, რომელმაც ავადმყოფობის გამო უც-
ხოეთში წასვლაზე უარი განაცხადა.

შავი ქვის ექსპორტი. სექტემბერში
საქართველოდან ინგლისსა, იტალიასა და
პოლონეთში გაიტანეს 29000 ტონი შავი
ქვა.

ბური. თანხმად სასურსათო გან-
ყოფილების პურის მიღროს ცნობებისა
სექტემბრის 22-დან 30-მდე ტფილისში შე-
მოუტანიათ 28.237 1/3 ფუთი პური. მიმ-
დინარე კვირაში პურის კონტროლის ცნო-
ბით პურზე შემდეგი ფასი არსებობდა: თეთ-
რი ქერი ფუთი—1200 მან., შავი ქერი—
ფუთი—1100 მან., ქერის ფქვილი ფუთი—
1800 მანეთიდან; პური—2000—2600 მან.,
პურის ფქვილი ფუთი—2350—2900 მან., სი-
მინდი ფუთი—1200 მან. და სიმინდის ფქვი-
ლი—1500 მან.

გილიციაში

მადლობა ხიხლის ხაშართლის მილი- ციის უფროსს.

ბათუმის და მისი ოლქ. კომის. ბ. ჩხიკვიშვილ-
მა შემდეგი ბრძანება გამოსცა. ვილებ რა მხედვე-
ლობაში, რომ სისხ. სამ. მილიციის უფროსი
პ. ზ. ფაჩულია დღიდან ბათუმის და მისი
ოლქის საქართველოსთან შემოერთებისა თა-
ვ-დადებით მუშაობდა საქართველოს მტრებს
წინააღმდეგ მთელი სამა თვის განმავლობაში
რომ მისი კეთილსინდისიერი და ენერგიული
მუშაობისათვის მე ვალათ ვრაცხ გამოუცხა-
დო მას გულწრფელი მადლობა. ხელს აწერს
საგანგებო კომისარია ჩხიკვიშვილი.

პროკონსული სხობა

ქუთაისი.

სექტემბრის 29 ქუთაისის ჩამოვიდა სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე. მეორე დღეს მან დათავადიერა ჯარისა და გარდნიის ნაწილები და სანხედრო პოსტიტალი...

ოზურგეთი.

სექტემბრის 1. ოზურგეთის სამხედრო ერობამ აუწყა ერობათა კავშირის კომიტეტს, რომ ის შეუთანხმდა სენაკის ერობას საზღვრებზე მდებარე საფონდო მამულების გაცვლის შესახებ...

ოზურგეთის სამხედრო ერობამ მიიღო ზომები ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში თავის ნებით ტყის გაჩენის აღსაკვეთად.

ოზურგეთის ერობა მიმდინარე წელს მაზრაში ხსნის 100 საღამო და საკვირაო სკოლას. ამის გარდა არსებულ 21 უმაღლეს პირველ დაწესებულებას დასწავლებელთან გაიხსნება სახალხო უნივერსიტეტი...

ბათომი.

ბათომის მიდამოებში მცხოვრებ ბერძენ ლტოლვილთა წარმომადგენლებმა ოლქის განსაკუთრებულ კომისარს მიმართეს შუამდგომლობით, მიიღოს ზომები მათი სამშობლოში სასწრაფოდ გასაგზავნად...

ოსტრიული წერილები

შამილის საიდუმლოება და ა. გ. ორბელიანი.

(გაგრძელება)

ალექსანდრე ორბელიანს, იმავე თავიდანვე დაახლოებული კავშირი ჰქონდა ტყვეობის მიწერ-მოწერა თავის ბიძა ალექსანდრე ბაგრატიონთან...

ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილების მიწერ მოწერის დროს, არც საქართველოს მოსამზღვრე მუშობლებს სტოვებდა უყურადღებოდ...

უპირველეს ყოვლისა შამილს ამან ვაძინო საქართველო კარგად და მასთან ის პირობებიც, თუ რუსეთი საქართველოში რა ოსტატობით შემოვიდნენ...

რანდული და გაცეცხლებული. შამილს ეს ბოროტება უფრო აბრაზებდა.

იგი ფიქრობდა, რუსებმა ქრისტიანებმა, თუ ქრისტიანი ქართველები ასე მოატყუილეს და სიკეთის მაგიერ ასე სჩაგრავენო, მაშ ჩვენ მაჰმადიანებს აბა რაღას გვიზამენო...

შამილის ასეთ მხურვალე ბრძოლას და ომებს აღექვანდრე ორბელიანი უფრო აცხობავდა და აწვადებდა, ცნობებს რუსების თუ საქართველოს შესახებ...

ლეკურის ენის მკოდენ იყო ვინმე ზაქარია მირალიშვილი, პოეტის გრიგოლ ორბელიანის ყმა, თვით პოეტთან აღზრდილი...

წერილი რად. შიგარო.

ბ.ნო რედაქტორო! ნება გვიმოძეთ თქვენს გაზეთის საშუალებით ძიებით თემის გამგეობისა და თემის საბჭოს დავადებით უღრმეს მადლობა გამოუცხადოთ...

გამგეობის თავმჯდომარე ქ. ფრანგიშვილი. მდივანი, გამგ. წევრი ვ. ხელაძე.

გ ა ნ ც ხ ა ღ მ ბ ა ნ ი

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პელაგია ზაქარაის ასულმა ლამაზაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ლევან ლაზარეს ძე ლამაზაშვილი...

დაიკარგა პასპორტი, მიღებული რუსეთის საკონსულოდან, მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ტფილისში ამილღების ეკლესიიდან...

დაიკარგა პასპორტი მირგუსტინ მირ მამელოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან.

დაიკარგა სასურსათო წიგნი ოთხი სულისა მიღებული მუშათა მავდიდან ალექსანდრე ლაზარეშვილის სახელზე.

ანდრია ბესარიონის ძე მახარაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ზესტაფონის უმაღლეს დაწესებითი სასწავლებლის გათავების მოწმობა № 198.

სავაჭრო სახლი კოვანი და კომპ. „კონტაქტი“ ადესაში აცხადებს, რომ რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევის საზოგადოების კვიტაციები, გაცემული ადესაში ბათუმზე № 5556 1988 ყუთის 1000 ფ. ექსტით და № 4249-1000 ყუთის 400 ფუთ. ექსტით დაკარგულია და გაუქმებულია ჩაითვალოს.

დაიკარგა საზღვარ-გარეთელი პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან დესდემონა ევგენის ასული ტერიანის სახელზე გაუქმებულია ჩაითვალოს.

დაიკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის 6 კლასის დამთავრების ატესტატი მე-7 დამატებითი კლასის დამთავრების მოწმობა მიხეილ გორგაძის სახელზე.

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ქუთ. მილიციის უფროსისგან და სამხედრო ნუსხა მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო უფროსისგან რაფაელ მიხეილის ძე იაკობიშვილის სახელზე.

დაიკარგა საბინაო დავთარი სასამართლოს ქუჩ. № 18 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის თამირაიანს გაუქმებულია ჩაითვალოს.

დაიკარგა სამხედრო ბეგრადიან თავისუფლების მოწმობა № 13436 მიხეილ წულუკიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან.

დაიკარგა ხაშურის გიმნაზიის დამთავრების ატესტატი და მეტრიკული მოწმობის ასლი მიღებული სინოდალურ კანტორიდან ელიზბარ კონსტანტინეს ძე გველესიანის სახელზე.

იოსებ იოსების ძე ტიკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დაბადების მოწმობა, მიღებული 1875 წ. მეტრიკული მოწმობა, მიღებული ქალ. ვაიბერტიდან (ბოგემა), პასპორტი, მიღებული ქალ. ვინიან 1900 წ. და ჯვარის წერის მოწმობა იოსებ ტიკის და მარიამ ტიკის სახელზე.

დაიკარგა საბინაო დავთარი დიდმთავრის ქუჩაზე № 79 მდებარე სახლის; რომელიც ეკუთვნის პროცერს (ყოფილი რუქისი).

ქ. ტფილისის მე-22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1920 წ. აგვისტოს 10 გარდაცვალებულ ივანე ფერიაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ივანე ფერიაშვილის ქონებაზე.

ქალ. ტფილისის 1 სამომრიგებლო უბნის მოქალაქე ქ. კ. ბარუტჩივი აცხადებს რომ 1920 წლის ოქტომბრის 15 დღის 10 საათზე, კირაინი შესახებ, № 11 საჯარო გაყიდვება გარდაცვალებულ ელისი ოლენოვიჩის მოძრავე ქონება, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას, შეფასებულია 7200 მან.

ტფილისის მე 21 უბნის მომ. მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ოვანესა სიმონის ძის დავითანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება დავითანის ქონებაზე.

აქციზის სამმართველო აცხადებს რომ აქციზის ინსპექტორს საბაქოსთან ვ. ჯავარიძეს დაუკარგავს საქციზო სამმართველოდან მიცემული ლია ფურცელი № 3033 მოწმობით რის ნაცვლადაც მას მიეცა სამმართველოდან ახალი ლია ფურცელი № 4476 დაკარგული ფურცელი გაუქმებულია ჩაითვალოს.

ქ. ტფილისის მე 14 და მე 15 სამომრიგებლო უბნების სასამართლოს მოქალაქე ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ 14 ოქტომბრის 1920 წ. დღის 10 საათზე ტურგენიევის ქუჩაზე (მე-9 კომისარიატი) სახლის № 4 ეზოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ივანე სტეპანიკის მოძრავე ქონების, რომელიც შესდგება ხის ავეჯისგან და აწერილია ტფილისის საოლქო სასამართლოსგან 28 თბათვეს 1920 წ. თარიღით № 21474.

დაიკარგა უვადო პასპორტი ვასტონ ალექსანდრეს ძე ფილიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან 1906 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს.

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ივანე ზურაბის ძე გოზალაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან.

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მდამო მოქალაქეთა სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს.

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 645, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და პირადობის მოწმობა, მიღებული ზესტაფონის მილიციის უფროსისგან იაკოვ ევანატის ძე ტრეგინიძის სახელზე.

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნატალია კარაპეტის ასულ მურადიანის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მურადიანის სიკვდილის შემდეგ დაჩენილ ქონებაზე.

დაიკარგა მატრიკული გერა ვარდენ ბარდაველის ასული ლომიას სახელზე მიღებული სახელმწიფო უნავერსიტეტიდან.

დაიკარგა ჯარში გასწავლე უბანზე მიწერილობის მოწმობა № 169 აღექვანდრე ბაგდანიის ძე არიუთინოვის სახელზე.

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ივანე ზურაბის ძე გოზალაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან.

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა რაქდენ მოსეს ძე ხიტაროვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან.

დაიკარგა მოწმობა მარიამ (სალომე) მოსეს ასული როსტევაშვილის სახელზე მიღებული ტფ. მდამო მოქალაქეთა სამმართველოდან.

დაიკარგა პასპორტი № 5668 მარიამ ანტონის ასული ცოცორიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს.

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მდამო მოქალაქეთა სამმართველოდან და შრომის ბირჟის ბარათი თამარ ივანეს ასული იუზუბაშვილის სახელზე.

დაიკარგა კვიტაცია № 457 მიღებული სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნოდან 1920 წ. აგვისტოს 2 ს გაუქმებულია ჩაითვალოს.

დაიკარგა სამხედრო ბეგრადიან ორი თვით თავისუფლების მოწმობა, მიღებული გვარდიის სანიტარულ რაზმიდან და მეჭურჭლის მოწმობა მიღებული მეჭურჭეთა ამქრიდან სიმონ ლუკას ძე კერვალიშვილის სახელზე.

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, კოტე სიმონის ძე ფალაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან.

დაიკარგა ატესტატი 1913 წ. და დიპლომი 1914 წ. გაიანე სტეფანეს ასული მირიანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მეორე ქალთა გიმნაზიიდან.

დაიკარგა ტფ. ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის 8 კლ. დამთავრების მოწმობა № 1212 მარიამ ქსენოფონტის ასული კირაკოვის სახელზე.

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ლევან სოლომონის ძე ბატონისაშვილის სახელზე მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან.

დაიკარგა პასპორტი ვარვარა ემელიანის ასული ოვინიკოვის სახელზე, მიღებული ვასილევის სოფლის სამმართველოდან (გოლინის გუბ.)

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 502 მიღებული ნიკორაშვილის სახ. 1919 წ., სამხედრო სამსახურთან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან.

დაიკარგა პასპორტი ვასტონ ალექსანდრეს ძე ფილიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან 1906 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს.